

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის  
ჩატარების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ (შემდეგში - უნივერსიტეტი) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი“ (შემდეგში - წესი) შემუშავებულია „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე და განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამის წინაპირობებს, კონკურსანტის შეფასების წესს და კონკურსის ორგანიზაციულ საკითხებს.
2. წესის მიზანია, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პირობების დაცვით, უზრუნველყოს კონკურსანტის კვალიფიკაციის და პოტენციალის ობიექტური შეფასება უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად და უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნების მისაღწევად შესაბამისი შრომითი ურთიერთობის დამყარება.

**მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება**

1. უნივერსიტეტში კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე: პროფესორი, ასოცირებულ პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
2. კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება: შესაბამისი ვაკანტური აკადემიური თანამდებობა და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა, კონკურსის ეტაპები და კონკურსის ჩატარების ვადები, ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი წინაპირობები და კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, საკონკურსო განაცხადების მიღების წესი, ბრძანების აღსრულების მიზნით უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირებისათვის დავალება/დავალებები, ინფორმაცია ბრძანების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ და ბრძანების გასაჩივრების ვადა და წესი.
3. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების ვადების და პირობების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და დასაქმების რომელიმე მაღალრეიტინგულ ინტერნეტ ვებ-გვერდზე. განაცხადი საჯაროდ განთავსებული უნდა იყოს საკონკურსო განაცხადების მიღებამდე არანაკლებ 1 თვის მანძილზე.
4. იმ შემთხვევაში, თუ რექტორის ბრძანებით კონკურსის კონკრეტული ეტაპისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის ბოლო დღე ემთხვევა უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, ვადის დასრულების დღედ მიიჩნევა მომდევნო სამუშაო დღე.

### **მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადები**

აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა განსაზღვრული ვადით:

- ა) პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 4 წლის ვადით;
- ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 4 წლის ვადით;
- გ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 წლის ვადით.
- დ) ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 წლის ვადით.

### **მუხლი 4. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად დადგენილი მოთხოვნები**

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილია შემდეგი აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნები:

- ა) პროფესორის თანამდებობისათვის - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობისათვის - დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- გ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობისათვის - დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- დ) ასისტენტის აკადემიური თანამდებობისათვის - დოქტორანტი.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან ერთად, თითოეულ აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატთა მონაცემების განხილვისას მხედველობაში მიიღება კანდიდატის მიღწევები საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რაც შესაძლებელია შეფასდეს და დადასტურდეს შემდეგით:

- ა) სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები, მიღებული ბოლო 5 წლის განმავლობაში და სხვა სამეცნიერო აქტივობები;
- ბ) სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში;
- გ) საერთაშორისო თანამშრომლობა და საქმიანობა აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით;
- დ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში, უნივერსიტეტში შესაბამისი პროგრამული მიმართულების განვითარების ხედვა, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის შემთხვევაში - კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი;
- ე) სილაბუსი/სილაბუსები (ფასდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით). კონკურსის მიზნებისთვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს არა უმეტეს სამი სილაბუსი;
- ვ) სამეცნიერო ნაშრომი/პროექტი/კვლევა, რომელიც, კონკურსანტის აზრით, უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს;
- ზ) რექტორის ბრძანებით კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის განსაზღვრული სხვა სპეციფიკური მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. კომისია უფლებამოსილია, კონკურსის მიმდინარეობისას კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის/დოკუმენტების წარმოდგენა.

### **მუხლი 5. პროფესიული ნიშნით კომპეტენციის დადასტურება**

1. ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობების მიუხედავად, აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პირი. ამ შემთხვევაში კანდიდატის კვალიფიკაცია შეიძლება დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, თუ დგინდება, რომ კანდიდატს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულია შემდეგი სავალდებულო მოთხოვნები:

ა) უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება;

ბ) უნდა ჰქონდეს საკონკურსო ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ შესაბამის დარგში წამყვან თანამდებობაზე მუშაობის ან/და დარგის შესაბამისი სპეციფიკური სამუშაოს შესრულების არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

გ) სასურველია, შესაბამისი მიმართულებით განხორციელებული ჰქონდეს სამეცნიერო ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტი/პროექტები ან/და გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტში შესაბამისი პროგრამული მიმართულების განვითარების ხედვა;

ე) უნდა აკმაყოფილებდეს რექტორის ბრძანებით კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. პროფესიული ნიშნით ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილია შემდეგი მოთხოვნები:

ა) უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ბ) უნდა ჰქონდეს საკონკურსო ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ შესაბამის დარგში წამყვან თანამდებობაზე მუშაობის ან/და დარგის შესაბამისი სპეციფიკური სამუშაოს შესრულების არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

გ) სასურველია, შესაბამისი მიმართულებით განხორციელებული ჰქონდეს სამეცნიერო ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტი/პროექტები ან/და გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტში შესაბამისი პროგრამული მიმართულების განვითარების ხედვა;

ე) უნდა აკმაყოფილებდეს რექტორის ბრძანებით კონკრეტული აკადემიური

თანამდებობისათვის განსაზღვრული სხვა სპეციფიკური მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პროფესიული ნიშნით შეიძლება აირჩეს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც:

ა) აკმაყოფილებს არანაკლებ ერთს ქვემოთ მოცემული შემდეგი პირობებიდან:

ა.ა.) აქვს საკონკურსო ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ შესაბამის დარგში წამყვან თანამდებობაზე მუშაობის ან დარგის შესაბამისი სპეციფიკური სამუშაოს შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ა.ბ.) აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

ა.გ.) აქვს შესაბამისი მიმართულებით განხორციელებული სამეცნიერო ან პრაქტიკული ხასიათის კვლევით პროექტში/პროექტებში ჩართულობის გამოცდილება ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

ბ) აკმაყოფილებს რექტორის ბრძანებით კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის განსაზღვრულ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. ასისტენტის თანამდებობაზე პროფესიული ნიშნით შეიძლება აირჩეს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც:

ა) აქვს საკონკურსო ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ შესაბამის დარგში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

ბ) სასურველია, ჰქონდეს შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული ხასიათის ან კვლევით პროექტში/პროექტებში ჩართულობის გამოცდილება ან/და გამოქვეყნებული ჰქონდეს სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

გ) აკმაყოფილებს რექტორის ბრძანებით კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის განსაზღვრულ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## **მუხლი 6. კონკურსის ეტაპები**

კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საკონკურსო განცხადების წარმოდგენა;

ბ) საკონკურსო კომისიის შექმნა;

გ) საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული განცხადებების გადარჩევა;

დ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;

ე) კონკურსანტის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარება (კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში);

ვ) კონკურსანტთა შეფასება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

## **მუხლი 7. საკონკურსო განაცხადების მიღება**

1. კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულმა კანდიდატებმა რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ სამსახურში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დაინტერესებული კანდიდატის მიერ დაუშვებელია განაცხადის გაკეთება ერთდროულად რამდენიმე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად) დანართი N1 ფორმის შესაბამისად.

ბ) კონკურსანტის ანკეტა დანართი N2 ფორმის შესაბამისად;

გ) კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით ამ წესის საფუძველზე განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

2. კონკურსანტის შევსებული ანკეტა და შესაბამისი დოკუმენტაცა წარმოდგენილი უნდა იქნეს ბეჭდური და ელექტრონული სახით (ელექტრონულ მატარებელზე). კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან/და მასალა. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

3. კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარდგენილი განცხადება და შესაბამისი დართული დოკუმენტაცია მოწმდება უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელი სამსახურის თანამშრომლის მიერ კონკურსანტის თანდასწრებით და კონკურსანტს გადაეცემა განცხადების მიღების ბარათი, წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალის მითითებით.

### **მუხლი 8. საკონკურსო კომისია**

1. კონკურსანტთა განაცხადების განხილვის და კონკურსანტთა შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. ამავე ბრძანებით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

2. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით, ასევე, თუ აქვს ინტერესთა კონფლიქტი კონკურსში მონაწილე კანდიდატთან.

### **მუხლი 9. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი**

1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას და წარმართავს მის სხდომებს. საკონკურსო კომისიის მდივანი პასუხისმგებელია კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებაზე. კომისიას ტექნიკური უზრუნველყოფა შესაძლებელია გაუწიოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

2. საკონკურსო კომისიის სხდომები დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, შუამდგომლობით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილე სპეციალისტის/სპეციალისტების ჩართვის შესახებ, რის საფუძველზეც გამოიყვამ რექტორის

შესაბამისი ბრძანება.

4. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. სხდომაზე დამსწრე წევრების შესახებ ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის მუშაობის მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
6. კომისიის წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს კანდიდატთა შესახებ პოზიციის დაფიქსირებისგან.
7. საკონკურსო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

### **მუხლი 10. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება**

1. კომისია კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით შესაბამისი ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
2. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება კანდიდატის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე, თუ აღმოაჩინა, რომ დადგენილი წესების დაცვით წარმოდგენილი არ არის რომელიმე სავალდებულო ინფორმაცია/დოკუმენტი ან/და აღმოაჩინა პლაგიატი ან სხვა სახის არაკეთილსინდისიერება/სიყალბე.
3. კონკურსის მიზნებისთვის, კონკურსანტის თითოეული აქტივობა ფასდება ვაკანტური თანამდებობის პროფილთან შესაბამისობის თვალსაზრისით.
4. საკანონმდებლო/სავალდებულო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, კონკურსანტი ვერ გადადის კონკურსის შემდეგ ეტაპზე. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კანდიდატი მოხსნას კონკურსიდან კონკურსის მომდევნო ეტაპზეც, თუ გასაუბრებისას დაზუსტდა რიგი გარემოებები და დადგინდა, რომ კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს სავალდებულო მოთხოვნებს ვაკანტური თანამდებობის პროფილთან შეუსაბამობის ან სხვა გარემოების გამო.
5. საკონკურსო კომისია კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის და მათი შეფასების შემდეგ, ადგენს გასაუბრებაზე წარმოსადგენ პირთა სიას და აწვდის უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადასული კანდიდატების ინფორმირებას.

### **მუხლი 11. გასაუბრება და საჩვენებელი ლექცია**

1. საკონკურსო კომისია კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან ატარებს ზეპირ გასაუბრებას და აფასებს მათ ამ წესით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

2. კონკურსანტს გასაუბრების თარიღის შესახებ ეცნობება გონივრული ვადით ადრე.
  3. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. კონკურსანტის მიერ 20 წუთზე მეტი ხნით არასაპატიო მიზეზით დაგვიანება ითვლება გასაუბრებაზე გამოუცხადებლობად.
  4. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე ან/და საჩვენებელ ლექსიაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა წარმოადგენს კანდიდატის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
  5. გასაუბრების მიმდინარეობა აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
  6. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.
  7. კონკურსის მეორე ეტაპზე, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსის დაზუსტების და დამატებითი ინფორმაციის მიღებით, კომისიის ამოცანაა, გამოავლინოს კანდიდატი, რომელიც უკეთ შეესაბამება დასაკავებელ აკადემიურ თანამდებობას. ამ მიზნით, მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:
    - ა) კანდიდატის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი/პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობასთან;
    - ბ) კანდიდატის კვალიფიკაცია პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი/პროფესიული მიმართულებით;
    - გ) კანდიდატის პოტენციალი პოზიტიური წვლილი შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და/ან დაწესებულების განვითარებაში.
  8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კანდიდატის შეფასების მიზნით, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს მას საჩვენებელი ლექსიის ჩატარება.
  9. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება გასაუბრების და/ან საჩვენებელი ლექსიის ვიდეო ან/და აუდიო ჩანერასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შესახებ კონკურსანტს ეცნობება კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დროს. ჩანაწერი ინახება გასაჩივრებისა და შესაბამისი საქმის განხილვის ვადით.
  10. კომისიის თითოეული წევრი კანდიდატის კონკრეტული კრიტერიუმით შეფასებისას ეყრდნობა შეფასების შემდეგ სისტემას:
    - A ქულა - კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს;
    - B ქულა - კანდიდატი მეტწილად აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს;
    - C ქულა - კანდიდატი ნაწილობრივ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს;
    - D ქულა - კანდიდატი სუსტად აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს;
    - E ქულა - კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს.
  11. კანდიდატების ინდივიდუალურად შეფასების შემდეგ კომისია მსჯელობს თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.
- შენიშვნა: შემოთავაზებული შეფასების სისტემა კომისიის თითოეულ წევრს ეხმარება სწორ

ორიენტირებასა და პოზიციის ჩამოყალიბებაში.

12. აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოსავლენად კანდიდატებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე. კომისიის თითოეული წევრი აფიქსირებს პოზიციას თითოეულ კონკურსანტთან დაკავშირებით. გამარჯვებულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

13. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და შესაბამისი შემაჯამებელი ოქმი წარედგინება რექტორს, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წერილობით ეცნობება გასაუბრების ეტაპზე გადასულ ყველა კონკურსანტს, გასაჩივრების ვადის მითითებით.

## **მუხლი 12. კონკურსის შედეგების აპელაცია**

1. კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესახებ კონკურსანტის მიერ სააპელაციო განცხადება შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, უნივერსიტეტის საქმისწარმოების ფუნქციის განმახორციელებელ შესაბამის სამსახურში.

2. სააპელაციო განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სააპელაციო კომისიის დასახელება;
- ბ) საკონკურსო კომისიის დასახელება და მიღებული გადაწყვეტილება;
- გ) სააპელაციო განცხადების შემომტანი პირის რეკვიზიტები;
- დ) განმცხადებლის მოთხოვნა და შესაბამისი დასაბუთება;
- ე) განმცხადებლის ხელმოწერა და განცხადების თარიღი.

3. კონკურსის შედეგების აპელაციისთვის დადგენილ ვადებში სააპელაციო განცხადების რეგისტრაციის შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლითაც ასევე განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სააპელაციო კომისია მოვალეობის შესრულებისას ხელმძღვანელობს ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული საქმიანობის წესის შესაბამისად.

4. სააპელაციო კომისია სააპელაციო განცხადებას იხილავს მისი წარდგენის ვადის ამონურვიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

- ა) სააპელაციო განცხადების დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) სააპელაციო განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, კონკურსის დარღვევით ჩატარების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, შუამდგომლობით მიმართოს რექტორს და საკითხი ხელახლა შესასწავლად დაუბრუნოს საკონკურსო კომისიას. დარღვევის შინაარსის გათვალისწინებით, რექტორი უფლებამოსილია, საკითხის შესწავლა დაავალოს კომისიის იმავე შემადგენლობას ან შეცვალოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. საკონკურსო კომისია საკითხის განხილვისას პროცედურების დადგენაში თავისუფალია და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, როგორ წარმართოს პროცედურები.



6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით. ინფორმაცია სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

### **მუხლი 13. აკადემიურ თანამდებობაზე პირის დანიშვნა**

1. საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კონკურსის შედეგების აპელაციის ვადის გასვლის შემდეგ რექტორი გამოსცემს ბრძანებას გამარჯვებული კანდიდატის შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად დარეგისტრირდა სააპელაციო განცხადება, შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის დანიშვნის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა სააპელაციო კომისიის მიერ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ხოლო სააპელაციო კომისიის მიერ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში - შესაბამისად საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო შედეგების წარმოდგენის შემდეგ. რექტორის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულ პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად.